საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 14211/1
08/09/2021

14211-1-2-202109081141

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გიორგი ხანიშვილს

ბატონო გიორგი,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ (შემდგომში - კომპანია) განიხილა 2021 წლის 01 სექტემბრის N9308/01 წერილი, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ სკრინინგის განაცხადში მოცემული ინფორმაციის დაზუსტების საკითხს და გაცნობებთ, რომ სკრინინგის განახლებულ ანგარიშში, მოთხოვნის შესაბამისად, დაზუსტებულია ქვანაყარი ბერმის ამგები საანგარიშო ქვების ფრაქციული შემადგენლობა პროცენტების მიხედვით. ხოლო, კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალურ სიღრმეზე დამატებულია 0,9 მეტრი, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნას გარეცხვის სიღრმის 0,8 – 1,0 მეტრით გაზრდის შესახებ. კალაპოტის გარეცხვის სიღრმის გაკორექტირებული ნიშნულები დატანილია განივ კვეთებზე.

გთხოვთ, განიხილოთ დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გვაცნობოთ ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

*დანართი:* 1) სკრინინგის ანგარიში.
2) სიტუაციური ნახაზი.
3) ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში.
4) პროექტის ელექტრონული ფაილი.
5) პროექტის განმარტებითი ბარათი.

პატივისცემით,

აკაკი მშვიდობაძე

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE


საქართველო, თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water.gov.ge
5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60

დირექტორის მოადგილე